საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა სერტიფიცირება

ელექტრონული რეგისტრაცია

1. ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად აკრიფეთ მისამართი https://directors.mes.gov.ge/ ან ისარგებლეთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებგვერდზე არსებული ბმულით.

2. რეგისტრაციისათვის ეკრანზე არსებული ღილაკებიდან აირჩიეთ ღილაკი „რეგისტრაცია“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზე არის ნაჩვენები.



გაითვალისწინეთ: რეგისტრაციისათვის აუცილებელია, რომ გადახდილი გქონდეთ კონკურსში მონაწილეობის საფასური, რომელიც შეადგენს 35 ლარს. გადახდა შესაძლებელია ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში ქვემოთ მოცემული რეკვიზიტების შესაბამისად.

შენიშვნა: გთხოვთ, ნუ ისარგებლებთ მობაილ ბანკისა ან ინტერნეტ ბანკის მომსახურებით და რეგისტრაციის თანხა გადაიხადოთ ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში ოპერატორის დახმარებით.

ვარსკვლავით (*) მონიშნული ყველა ველის შევსება აუცილებელია.



რეკვიზიტები

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (ს/კ 205300048)
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმრების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707677117

შენიშვნა: გადახდის დროს აუცილებლად მიუთითეთ კონკურსანტის გვარი, სახელი პირადი ნომერი.

3. შესაბამის ველებში მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი, პირადი ნომერი, გაეცანით პირობებს, მონიშნეთ პუნქტი „გავეცანი და ვეთანხმები“ და დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



4. რეგისტრაციის გაგარძელების შემდგომ გამოვა ფანჯარა, სადაც უნდა მიუთითოთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ფაქტობრივი მისამართი, რეგიონი და რაიონი, სადაც გსურთ გამოცდის ჩაბარება, რეკომენდატორი და სამოტივაციო წერილი. ამასთან, აუცილებლად უნდა ატვირთოთ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და სავალდებულო სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათებზეა ნაჩვენები.





გაითვალისწინეთ:

- თქვენ მიერ გამოცდის ჩაბარების ადგილად არჩეულ რეგიონსა და/ან რაიონში შესაბამისი საგამოცდო ცენტრის გახსნა დამოკიდებულია დირექტორობის მსურველთა რაოდენობაზე;
- დააკვირდით, რომ სწორად შეიყვანოთ თქვენი ელექტრონული ფოსტა და მობილური ტელეფონის ნომერი, ვინაიდან თქვენს ელექტრონულ ფოსტასა და მობილურ ტელეფონის ნომერზე გამოიგზავნება დასტური განაცხადის მიღებაზე და უნიკალური კოდი;
- თითოეული ასატვირთი ფაილის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 5 MB-ს.
- ასატვირთი ფაილის გაფართოება უნდა შეესაბამებოდეს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს: doc, docx, xls, xlsx, pdf, png, jpg, jpeg.

შენიშვნა: აუცილებელია, რომ განაცხადზე ატვირთოთ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი. ატვირთული დოკუმენტაციის ვალიდურობასა და სისწორეზე პასუხისმგებელია პირი, რომელიც უშუალოდ ახდენს აპლიკანტის რეგისტრაციას.

5. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ რეკომენდატორის დამატება, შეცვლა ან არასწორად მიუთითეთ ინფორმაცია, დააჭირეთ შესაბამის ღილაკებს, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



6. მას შემდეგ, რაც დარწმუნდებით, რომ შევსებული ინფორმაცია სწორია და შეავსებთ სამოტივაციო წერილს, დააჭირეთ ღილაკს „დასრულება“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



7. ღილაკზე „დასრულება“ დაჭერისთანავე, წარმატებით მიიღება თქვენი მოთხოვნა რეგისტრაციაზე და გამოვა შესაბამისი ფანჯარა, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა მითითებული. აღნიშნული ინფორმაცია გადმოიგზავნება განაცხადში თქვენ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზეც. რაც შეეხება უნიკალურ კოდს, აღნიშნული გადმოიგზავნება განაცხადში თქვენ მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზეც.



თქვენი მოთხოვნა რეგისტრაციაზე მიღებულია

უნიკალური კოდი	583823
სახელი	
გვარი	
პირადი № (11 ნიშნა)	
ფაქტობრივი მისამართი (ქალაქი/ რაიონი, მისამართი)	მისამართი
მობილური	
ელ-ფოსტა	
რეგიონი	კახეთი
უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი	#1 ფაილის ნახვა, #2 ფაილის ნახვა
სავალდებულო სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი	#1 ფაილის ნახვა, #2 ფაილის ნახვა

რეკომენდატორები

სახელი, გვარი	**ტელეფონის N**	**ელ-ფოსტა**	**სამუშაო ადგილი**	**პოზიცია**

სამოტივაციო წერილი	

<< მთავარ გვერდზე გადასვლა

8. რეგისტრაციის თაობაზე თქვენი მოთხოვნა დადასტურდება არაუგვიანეს განაცხადის დარეგისტრირებიდან მე-5 სამუშაო დღისა, მას შემდეგ, რაც გადამოწმდება ატვირთული ფაილები. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მიიღებთ განაცხადში თქვენ მიერ მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერსა და ელექტრონულ ფოსტაზე.

გაითვალისწინეთ: გადამოწმებას არ ექვემდებარება ატვირთული ფაილის შინაარსი, მოთხოვნებთან შესაბამისობა და ვალიდურობა, აღნიშნულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია დირექტორობის მსურველი.

გისურვებთ წარმატებებს!!!